

**საბანკო ოპერაციების წარმოების
სტანდარტული პირობები
2012 წლის აპრილის მდგომარეობით**

ბანკს და კლიენტს შორის ურთიერთობები რეგულირდება მათ შორის არსებული სახელშეკრულებით შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე საბანკო ოპერაციების წარმოების (მომსახურების) სტანდარტული პირობები წარმოადგენს წინასწარ ჩამოყალიბებულ, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნულ პირობებს, რომელთაც ბანკი უდგენს კლიენტს და რომელთა შემოქმედებითაც განისაზღვრება ბანკსა და კლიენტს შორის საქმიან ურთიერთობათა სახელშეკრულებით პირობები. იგი ატარებს სახელშეკრულებით ხასიათს, არის მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებით შეთანხმების ნაწილი და სავალდებულოა მათთვის.

საბანკო ანგარიში	
1.1.	საბანკო ანგარიში იხსნება მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული განცხადებისა და დოკუმენტების საფუძველზე, რომელთა უტყუარობაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება „კლიენტს“. ამასთან, ბანკი ვალდებულია აწარმოოს „კლიენტის“ მიერ ანგარიშის გასასხნელად წარმოდგენილი დოკუმენტების სამართლებრივი რევიზია და გაუწიოს მას შესაბამისი კონსულტაცია. ანგარიშის გახსნისას „კლიენტი“ ვალდებულია წარმოადგინოს ანგარიშზე საბანკო წარმომადგენლის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი დოკუმენტი. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „კლიენტი“ იღებს ვალდებულებას აცნობოს „ბანკს“ ანგარიშის გასასხნელად წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ასევე შეატყობინოს ბანკს ლიკვიდაციის, რეორგანიზაციისა და სამეწარმეო რეესტრში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ, ასევე იმ პირების შეცვლის შესახებ, რომლებიც უფლებამოსილი არიან განკარგონ ანგარიში, მიიღონ ანგარიშის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ახალი შეტყობინების მიღებამდე ბანკის მიერ ოპერაციები სრულდება ადრე წარმოდგენილი ხელმოწერის ნიმუშის მიხედვით.
1.2.	მხარეთა შორის შეტყობინება განხორციელებულად ითვლება მისი წერილობითი ფორმით შესრულებისა და უფლებამოსილი პირის დამოწმების შემთხვევაში, რომელიც მხარეებს უნდა მიეწოდოს კურიერის, დაზღვეული ფოსტის, ელ-ფოსტის მეშვეობით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე, თუ მხარე მისამართის ცვლილების შესახებ 5 საბანკო დღის განმავლობაში არ შეატყობინებს საკუთარი მისამართის ცვლილების თაობაზე;
1.3.	„კლიენტი“ ვალდებულია მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ბანკს საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა საბუთი და ინფორმაცია;
1.4.	ბანკის უფლებამოსილია არ გაუხსნას კლიენტს საბანკო ანგარიში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.
1.5.	კლიენტის ანგარიშზე ფულადი სახსრები შეიძლება ჩარიცხოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო წესით. იმ შემთხვევაში, თუ სხვა ბანკის მეშვეობით კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის საბუთში აღნიშნული საიდენტიფიკაციო მონაცემები სრულად არ დაემთხვევა ბანკის ხელთ არსებულ ინფორმაციას კლიენტის შესახებ, ბანკი მიღებულ თანხას ჩარიცხავს „გაურკვეველი თანხების ანგარიშზე“, აწარმოებს აუცილებელ გამოკვლევას თანხის მიმღების დასადგენად და მონაცემებს შორის შეუსაბამობის გამოსწორების შემთხვევაში თანხას ჩარიცხავს კლიენტის ანგარიშზე, ხოლო გამოუსწორებლობის შემთხვევაში თანხას დაუბრუნებს გადამხდელს.
1.6.	კლიენტი ვალდებულია მის ანგარიშზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ შეატყობინოს და გადასცეს ბანკს შეცდომით ჩარიცხული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტი პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.
1.7.	ბანკი უბრუნველყოფს კლიენტის ანგარიშებზე შესული თანხების ჩარიცხვას და კლიენტის ანგარიშიდან თანხების გადარიცხვას არაუგვიანეს იმავე ან მეორე სამუშაო დღისა.
1.8.	ბანკის მიერ ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა, როგორც წესი, ხორციელდება კლიენტის თანხმობის, ნებართვის, დავალების, ან მოთხოვნის საფუძველზე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
1.9.	კლიენტის ანგარიშებიდან ბანკის მიერ უაქცეპტო წესით თანხების ჩამოწერა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში: ა) ბანკის მოქმედი ტარიფების შესაბამისად მომსახურების საფასურის (საკომისიოს) ან/და პირგასამტეხლოს გადასახდელად; ბ) შეცდომით ჩარიცხული თანხების უკან დასაბრუნებლად; გ) ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების დასაფარავად ან ვალდებულების შესასრულებლად (იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება ან ვალდებულება დაფიქსირებულია ეროვნული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი დგინდება თანხის ჩამოწერის მომენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით); დ) მოქმედი კანონმდებლობით ან/და კლიენტსა და ბანკს შორის დადებული ხელშეკრულებით. შეთანხმებით ან/და სხვა დოკუმენტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში. ~
1.10.	კლიენტის მიერ ბანკისთვის მიცემული დავალების გაუქმება შეიძლება ბანკთან შეთანხმებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დავალება ჯერ არ შესრულებულა და მისი გაუქმება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ან იმ ვალდებულების არსს, რომლის შესასრულებლადც გაიცა დავალება. კლიენტს უფლება აქვს გაითხოვოს ასევე მის მიერ ბანკში წარდგენილი: ა) არასაბიუჯეტო ანგარიშებზე გადარიცხვის ამსახველი სავადახლო დავალებები მათ შესრულებამდე; ბ) ბიუჯეტის ან მასთან გათანაბრებულ გადასახდელზე წარდგენილი სავადახლო დავალება, რომელიც გაუნაღდებელია ან ნაწილობრივ განაღდებულია (კლიენტს ანგარიშზე სახსრების უკმარისობის, ან სხვა მიზეზების გამო) და აღრიცხულია „ვადამი გაუნაღდებელი სავადახლო საბუთების“ კარტოთევაში.
1.11.	ბანკი უფლებამოსილია არ შეასრულოს კლიენტის დავალება და დავალების შესრულებლობის შესახებ ნებისმიერი ფორმით შეატყობინოს კლიენტს, იმ შემთხვევაში თუ: ა) ვერ ხერხდება კლიენტის სრულფასოვანი იდენტიფიკაცია; ბ) დავალება შედგენილია ან წარდგენილია ბანკში დადგენილი წესის დარღვევით ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას (მითითებებს); გ) ბანკს გაუჩნდა ეჭვი კანონსაწინააღმდეგო ოპერაციის განხორციელების მცდელობის შესახებ დ) დავალებაში აღნიშნული თანხა აღემატება ანგარიშზე არსებულ ხელმისაწვდომ თანხას ან ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტებს.
1.12.	ანგარიშიდან ფულადი სახსრების გასატანად (გასაცემად), როგორც წესი, გამოიყენება სალაროს გასავლის ორდერები.
1.13.	ურ. პირის შემთხვევაში ანგარიშიდან ფულადი სახსრების გასატანად (გასაცემად), როგორც წესი, გამოიყენება საჩეკო წიგნაკი და გასავლის ორდერი. კლიენტი ვალდებულია: გაუფრთხილდეს საჩეკო წიგნაკს; არ დაუშვას მათი შევსების გარეშე გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისთვის; დაიცვას საჩეკო წიგნაკის შევსების წესები. საჩეკო წიგნაკის საფუძველზე ანგარიშიდან თანხის გატანა დასაშვებია საჩეკო წიგნაკის კლიენტის მიერ შედგენილი (ხელმოწერილი) 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. ბანკს უფლება აქვს არ გასცეს თანხა, თუ საჩეკო წიგნაკში დაფიქსირებული ხელმოწერა ეკუთვნის პირს, რომელიც ბანკისთვის საჩეკო წიგნაკის (გამოწერის) ან წარდგენის მომენტში არ იყო ან არ არის კლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი (დირექტორი ან მისი რწმუნებული).
1.14.	კლიენტი ვალდებულია: ა) დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მის მიერ ბანკისთვის წარდგენილ დოკუმენტებსა და მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ასევე წერილობით შეატყობინოს ბანკს იმ პირების შეცვლის შესახებ, რომლებიც უფლებამოსილი არიან განკარგონ ანგარიში, ან მიიღონ ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ და შეტყობინებას დაურთოს

შესაბამისი დოკუმენტები. ცვლილებების შესახებ შეტყობინებისა და შესაბამისი საბუთების მიღებამდე ბანკის მიერ ოპერაციები სრულდება ადრე წარდგენილი საბუთებისა და ხელმოწერის ნიმუშის საფუძველზე. ბ) ყოველი ახალი ანგარიშის გახსნის განაცხადთან ერთად ბანკს წარუდგინოს ბანკის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები კლიენტის საგადასახადო/სამეწარმეო სტატუსის შესაბამისად; გ) ბანკის მიერ მისთვის გახსნილი ანგარიშები სამეწარმეო მიზნებისთვის გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება შესაბამისი საგადასახადო/სამეწარმეო სტატუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია არ გამოიყენოს თავისი ანგარიშები სამეწარმეო საქმიანობისთვის; დ) მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ბანკს საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა საბუთი და ინფორმაცია; ე) დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები; ვ) დაიცვას ბანკის მიერ გავრცელებული მაინფორმაციო მასალაში აღწერილი პროცედურები; ზ) დროულად გადაიხადოს მომსახურების საფასური (საკომისიო) თ) არ გამოიყენებს ანგარიშს სამეწარმეო საქმიანობისათვის თუ სათანადო წესით არ დარეგისტრირდება გადასახადის გადამხდელად; ი) გადამხდელის სტატუსის ცვლილების შემთხვევაში ცვლილების განხორციელებიდან 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში აღნიშნულის შესახებ სათანადო წესით აცნობოს ბანკს და ამ დროის მანძილზე არ გამოიყენოს ანგარიში სამეწარმეო საქმიანობისათვის. კ) საბანკო ანგარიშზე არავითარი მიზნისთვის ოვერდრაფტის წვდომისას დაუყოვნებლივ დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული თანხა.

1.15. ბანკი ვალდებულია: ა) მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ; ბ) შეასრულოს კლიენტის დავალებები ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად; გ) დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები.

1.16. კლიენტს ეკრძალება საბანკო მომსახურების გამოყენება უკანონო მიზნით, მათ შორის იმ საქონლის ან მომსახურების შესაძენად, რომლის შექმნაც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მხარეთა პასუხისმგებლობა

- 2.1. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად და დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
- 2.2. ბანკი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე საბანკო ოპერაციების ზუსტად და დროულად განხორციელებისთვის. ბანკის მიზნით ანგარიშიდან თანხის არასწორად ჩამოწერის, ან ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის ვადების დარღვევისათვის ბანკი იხდის პირგასამტეხლოს შესაბამისი თანხის 0,5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული საბანკო დღისთვის, ან კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 2.3. სტანდარტული პირობების 1.14. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო 0,5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
- 2.4. პირგასამტეხლოს გადახდა დამრღვევს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 2.5. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია კლიენტის “სავადახლო დავალებაში”, ან სხვა რომელიმე საბუთში აღნიშნული მიმღები ან შუამავალი ბანკის ნებისმიერი ქმედებით ან/და შეცდომით, ან ბანკისაგან დამოუკიდებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით;
- 2.6. ბანკი არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია: კლიენტის დავალებით ოპერაციის განხორციელებით; კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ტელეფონის აპარატის ან/და სხვა მოწყობლობისა თუ აღჭურვილობის (მათი რომელიმე ნაწილის ან/და აქსესუარის) ან/და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით; ტელეკომუნიკაციების ოპერატორის, ინტერნეტ-პროვაიდერის ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიზეზით; კლიენტის მიერ განაცხადის ან/და განცხადების არასწორი ან არასრულყოფილი შევსებით; კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის უსწორობით ან/და უზუსტობით; კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით; კლიენტისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების კლიენტის მიერ გამოყენებლობით. ბანკის მიერ გაცემული რეკომენდაციების კლიენტის მიერ შეუსრულებლობით.
- 2.7. ბანკი არ აგებს პასუხს უიურიდიულო პირის მიერ ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობისას, რამდენიმე ავტორიზებული პირის არსებობის შემთხვევაში, მოცემული პირების მიერ უფლებამოსილების ბორთად გამოყენებით კლიენტისათვის მიყენებულ ზიანზე.
- 2.8. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, თუ ეს გარემოებები გამოწვეულია დაუძლეველი (გადაულახავი) ძალის პირდაპირი ზემოქმედებით, კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო თრგანობის აქტით ან ქმედებით და სხვა (ფორს-მაჟორული გარემოებები). ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისას მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ამის შესახებ მეორე მხარეს. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

ტარიფები

- 3.1. კლიენტისა და ბანკის ფინანსური ურთიერთობა მთლიანად წესრიგდება ბანკის ტარიფებითა და ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებებით. ანგარიშის წარმოებისათვის, ამ ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციებისათვის და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთვის კლიენტი ბანკს უხდის ოპერაციის შესრულების ან მომსახურების გაწევის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილი და მოქმედი ტარიფების შესაბამისად განსაზღვრულ თანხას (მომსახურების საფასურს).
- 3.2. საბანკო მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტს არ დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი მომსახურების საფასური (საკომისიო).

ინფორმაცია, საბანკო საიდუმლოება

- 4.1. კლიენტი აცხადებს, რომ ბანკის მიერ მისი მხრიდან განაცხადის მიღების მომენტში ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სამეწარმეო საქმიანობისა და მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის სტატუსის შესახებ) არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების, საკონტაქტო ინფორმაციის, სტატუსის ან საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.
- 4.2. ბანკი ვალდებულია დაიცვას კლიენტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება (კონფიდენციალობა), რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კლიენტთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ან თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებთაც არ ილახება კლიენტის ინტერესები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მ63-ე მუხლის შესაბამისად). ბანკის მიერ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ძალაშია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც.
- 4.3. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.
- 4.4. კლიენტის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებას სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსგან მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ (მათ შორის პერსონალური მონაცემები) ანგარიშ(ებ)ის გახსნის, ოპერაცი(ებ)ის წარმოების ან/და მომსახურების გაწევის დროს.

საბანკო ანაბარი

- 5.1. კლიენტის ანაბრით მომსახურება გულისხმობს კლიენტის (ასევე “მენაბრის”) განაცხადის საფუძველზე ბანკის მიერ მენაბრისთვის საანაბრო ანგარიშის გახსნას და ანგარიშზე რიცხული თანხისთვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვას.
- 5.2. მენაბრეს შეუძლია ისარგებლოს ვადიანი და მოთხოვნამდე ანაბრებით და მათი სახესხვაობებით (მოდიფიკაციებით).
- 5.3. ანაბარისათვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხდება წელიწადში 365 დღეზე გადაანგარიშებით მხარეთა მიერ ყოველ კონკრეტულ ანაბართან დაკავშირებით ხელმოწერილი ანაბრის ხელშეკრულებისა და ბანკის მიერ გავრცელებული ტარიფების (მათ შორის ბუკლეტები, ბროშურები, ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია და სხვა) შესაბამისად.
- 5.4. ანაბრისთვის დასარიცხი საპროცენტო სარგებლის გამოანგარიშება იწყება თანხის ანგარიშზე შეტანის ან ჩარიცხვის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.
- 5.5. ბანკი ვალდებულია: მიიღოს ანაბარი და დაარიცხოს მას საპროცენტო სარგებელი ხელშეკრულების შესაბამისად;
- 5.6. ბანკი უფლებამოსილია: ა) განკარგოს საანაბრო ანგარიშზე რიცხული თანხა საკუთარი სახელითა და შეხედულებისამებრ; ბ) კანონმდებლობის ან ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მენაბრის შემდგომი თანხმობის, ან ნებისმიერი გარეშე, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს უაქცეპტო წესით ჩამოწეროს თანხები მენაბრის ნებისმიერი საანაბრო ანგარიშიდან ან/და დახუროს (შეწყვიტოს) ანაბარი. გ) ბანკის მიერ მენაბრესათვის საპროცენტო სარგებლის ზედმეტად გადახდის შემთხვევაში ზედმეტად გადახდილი თანხა გამოიქვითება (ჩამოიჭრება) ანაბრის თანხიდან. დ) დაუშვებელია ანაბრის ხელშეკრულების ნაწილის მოშლა ან/და ანაბრის თანხის ნაწილობრივი გატანა გარდა მოთხოვნამდე ანაბრის თანხისა.
- 5.7. **ვადიანი ანაბრის სპეციალური პირობები:** ვადიანი ანაბარზე თანხის განთავსება წარმოებს მენაბრის ანგარიშსწორების ანგარიშიდან. ბანკი იღებს ვალდებულებას იმავე სამუშაო დღეს მოახდინოს საანაბრო თანხის გადატანა მენაბრის ანგარიშსწორების ანგარიშიდან წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გახსნილ საანაბრო ანგარიშზე. ვადიანი ანაბრის მოქმედების პერიოდში სარგებლის ყოველთვიურად გატანის შემთხვევაში მხარეთა შორის შეთანხმებული ანაბრის საპროცენტო განაკვეთი მცირდება მხარეთა შორის შეთანხმებული ანაბრის საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში მხარეთა შორის შეთანხმებული ანაბრის საპროცენტო განაკვეთი მცირდება მხარეთა შორის შეთანხმებული განსაზღვრული ოდენობით. ვადიანი ანაბრის ხელშეკრულების ვადის დასრულებისას ბანკი ვალდებულია გადაუხადოს მენაბრეს ანაბრის თანხა. თუ ხელშეკრულების დასრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, ბანკი ვალდებულია მენაბრეს კუთვნილი თანხა გადაუხადოს მომდევნო სამუშაო დღეს. ვადიანი ანაბრის ხელშეკრულების ვადის დასრულებისას ანაბრის ძირითადი თანხა დარიცხულ პროცენტთან ერთად ბანკს გადააქვს მენაბრის მიმდინარე ანგარიშზე.
- 5.8. **ზრდადი ანაბრის სპეციალური პირობები:** ზრდადი ანაბარზე თანხის განთავსება წარმოებს მენაბრის ანგარიშსწორების ანგარიშიდან. ბანკი იღებს ვალდებულებას იმავე სამუშაო დღეს მოახდინოს საანაბრო თანხის გადატანა მენაბრის ანგარიშსწორების ანგარიშიდან წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გახსნილ საანაბრო ანგარიშზე. ზრდადი ანაბრის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 3 თვით და არაუმეტეს 24 თვისა. ზრდადი ანაბრის მოქმედების პერიოდში სარგებლის ყოველთვიურად გატანის შემთხვევაში მხარეთა შორის შეთანხმებული ანაბრის საპროცენტო განაკვეთი მცირდება მხარეთა შორის შეთანხმებული განსაზღვრული ოდენობით. ზრდადი ანაბრის ხელშეკრულების ვადის დასრულებისას ბანკი ვალდებულია გადაუხადოს მენაბრეს ანაბრის თანხა. თუ ხელშეკრულების დასრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, ბანკი ვალდებულია მენაბრეს კუთვნილი თანხა გადაუხადოს მომდევნო სამუშაო დღეს. ზრდადი ანაბრის ხელშეკრულების ვადის დასრულებისას ანაბრის ძირითადი თანხა დარიცხულ პროცენტთან ერთად ბანკს გადააქვს მენაბრის მიმდინარე ანგარიშზე.
- 5.9. **მოთხოვნამდე ანაბრის სპეციალური პირობები:** მოთხოვნამდე ანაბრის გახსნა დასაშვებია ლარში, ევროში ან აშშ დოლარში. მოთხოვნამდე ანაბარზე შესაძლებელია: ა) ნაღდი ოპერაციების განხორციელება, ბ) ბანკში მენაბრის სხვა ანგარიშებზე თანხის გადატანა გ) თანხის ჩარიცხვა დ) თანხის კონვერტაცია და სხვა საბანკო ოპერაციები. მოთხოვნამდე ანაბრის ანგარიშზე შენატან(ებ)ის ან/და თანხის გატანის (დებეტური ან/და კრედიტული ოპერაციების) მოცულობა ან/და პერიოდულობა არ არის შეზღუდული. მოთხოვნამდე ანაბრის ხელშეკრულების ვადა 3 თვე. იმ შემთხვევაში თუ მენაბრე არ გამოთქვამს წერილობით სურვილს მოთხოვნამდე ანაბრის შეწყვეტაზე ვადის გასვლამდე ერთი კვირით ადრე, ბანკი უფლებამოსილია მოთხოვნამდე ანაბრის ხელშეკრულება გააგრძელოს მომდევნო სამი თვის ვადით. აღნიშნული პირობა ვრცელდება განახლებული (ავტომატურად გაგრძელებული) ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას. მოთხოვნამდე ანაბრისთვის დასარიცხი საპროცენტო სარგებლის გამოანგარიშება იწყება თანხის ანგარიშზე შეტანის ან ჩარიცხვის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხდება ყოველი თვის იმ რიცხვის მომდევნო რიცხვში, როცა მოხდა ანგარიშზე თანხის შეტანა ან ჩარიცხვა.
- 5.10. **საბავშვო ანაბრის სპეციალური პირობები:** საბავშვო ანაბრის ხელშეკრულება წარმოადგენს კონტრაქტის მიერ მესამე პირის (მენაბრეს) სასარგებლოდ დადებულ გარიგებას. მესამე პირს (მენაბრეს) წარმოადგენს: — არასრულწლოვანი. საბავშვო ანაბარზე თანხის განთავსება წარმოებს ნებისმიერი ანგარიშსწორების ანგარიშიდან ან/და ნაღდი ფულის შეტანის გზით. ბანკი იღებს ვალდებულებას იმავე სამუშაო დღეს მოახდინოს საანაბრო თანხის გადატანა კონტრაქტის ანგარიშსწორების ანგარიშიდან წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გახსნილ საანაბრო ანგარიშზე. ანაბრის ანგარიშზე შენატან(ებ)ის (დებეტური ოპერაციების) მოცულობა ან/და პერიოდულობა არ არის შეზღუდული. ანაბრის ხელშეკრულების ვადის დასრულებისას ბანკი ვალდებულია გადაუხადოს მენაბრეს ანაბრის თანხა. თუ ხელშეკრულების დასრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, ბანკი ვალდებულია მენაბრეს კუთვნილი თანხა გადაუხადოს მომდევნო სამუშაო დღეს. ანაბრის ხელშეკრულების ვადის დასრულებისას ანაბრის ძირითადი თანხა დარიცხულ პროცენტთან ერთად ბანკს გადააქვს მენაბრის მიმდინარე ანგარიშზე.

ინტერნეტ ბანკინგი

- 6.1. ინტერნეტ-ბანკით მომსახურება გულისხმობს ბანკში გამოუცხადებლად კლიენტის მიერ ბანკის ინტერნეტ-გვერდის გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული საბანკო ინფორმაციის მიღებას, სხვადასხვა საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას და ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას.
- 6.2. ინტერნეტ ბანკინგით მომსახურების მისაღებად კლიენტს ბანკში გახსნილი უნდა ქონდეს მიმდინარე ანგარიში.
- 6.3. ინტერნეტ-ბანკის საშუალებით კლიენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია, ოპერაციის განხორციელების დროისთვის ბანკში მოქმედი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.
- 6.4. ინტერნეტ-ბანკით მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით.
- 6.5. ბანკის ინტერნეტ-გვერდზე შესვლის დროს კლიენტის იდენტიფიკაცია ხდება “კომპანიის სახელით” (Company Name), “მომხმარებლის სახელით” (User Name) და “პაროლით” (Password, Digi Pass) (შემდგომში „საიდენტიფიკაციო მონაცემები“). გემოსხენებული მონაცემების ინტერნეტ-გვერდის სპეციალურ „შემსვლელ“ გრაფაში შეტანის გარეშე კლიენტს არ ექნება საშუალება, მიიღოს ინფორმაცია მისი

- ანგარიშ(ებ)ის შესახებ, შესარულოს საბანკო ოპერაციები ან დარეგისტრირდეს მომსახურებებზე (სერვისებზე). იურიდიული პირებისათვის: ინტერნეტ ბანკში იურიდიული პირის უფლებამოსილი პირის (მაგ. დირექტორის) მიერ გაცემული მინდობილობით დარეგისტრირების შემთხვევაში კლიენტი აღნიშნულ მომსახურებაზე დარეგისტრირდება განუსაზღვრელი ვადით.
- 6.6. კლიენტის ინფორმაციისა და ოპერაციების უსაფრთხოების დაცვის მიზნით ბანკი უფლებამოსილია შექმნას დამატებითი მექანიზმები კლიენტის იდენტიფიკაციისთვის.
 - 6.7. ბანკი და კლიენტი ვალდებული არიან დაცვან საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალობა. საიდენტიფიკაციო მონაცემების დაკარგვის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბანკს განცხადებით ახალი საიდენტიფიკაციო მონაცემების მინიჭების შესახებ. ბანკი ვალდებულია კლიენტის მიერ საიდენტიფიკაციო მონაცემების დაკარგვის თაობაზე შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე ინტერნეტ-ბანკით მომსახურების შეჩერება კლიენტისგან ახალი განკარგულებების მიღებამდე.
 - 6.8. თუ კლიენტის ანგარიშ(ებ)ის მართვა ხდება ერთობლივად რამდენიმე ხელმოწერის („ფაქსიმილეს“) გამოყენებით, კლიენტის ოპერაცია ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით შესრუდება მხოლოდ ყველა ხელმოწერი პირის მიერ ამ ოპერაციის ელექტრონულად დადასტურების (ავტორიზაციის) შემთხვევაში, თუ მიუხედავად რამდენიმე ხელმოწერი პირის არსებობისა, ნებისმიერ მათგანს აქვს ოპერაციების დამოუკიდებლად წარმოების უფლება ოპერაცია შესრუდება ერთ-ერთი ხელმოწერი პირის მიერ ამ ოპერაციის ელექტრონულად დადასტურების (ავტორიზაციის) შემთხვევაში.
 - 6.9. კლიენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას, ინტერნეტ-ბანკით მომსახურება განხორციელდება ავტომატურად, არსებული საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებით.
 - 6.10. კლიენტი წინასწარ აცხადებს, რომ მხოლოდ შესაბამისი სერვისების (მომსახურებების) პირობების დეტალურად შესწავლის შემდეგ დარეგისტრირდება ამ სერვისების მომხმარებლად და რომ საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებით რეგისტრაციის ნების გამოხატვა ჩაითვლება მის თანხმობად იმ მომსახურების ყველა პირობაზე, რომლის მომხმარებლადც დარეგისტრირდება კლიენტი ბანკის ინტერნეტ-გვერდის მეშვეობით.
 - 6.11. კლიენტის პრეტენზიები ინტერნეტ-ბანკით მომსახურებასთან დაკავშირებით მიიღება ოპერაციის განხორციელებიდან 45 (ორმოცდახუთი) დღის განმავლობაში.
 - 6.12. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ინტერნეტ-ბანკის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილ სავადახლო დავალებას აქვს ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა;
 - 6.13. კლიენტი ბანკს ავალდებს და უფლებას აძლევს ბანკთან ინტერნეტით კავშირისას: ა) კლიენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მიაწოდოს მის ინფორმაცია მისი ანგარიშების შესახებ; ბ) კლიენტის დავალებით შეასრულოს ბანკის მიერ ინტერნეტ-ბანკით მომსახურების ფარგლებში დაშვებული ოპერაციები.
 - 6.14. კლიენტი ვალდებულია: ა) ინტერნეტ-ბანკთან კავშირის დასამყარებლად გამოიყენოს მხოლოდ „ინტერნეტ-ბანკის“ ისეთი თანამედროვე ვერსია, რომელიც მონაცემთა მინიმუმ 128 ბიტთან დაშიფვრას უზრუნველყოფს; ბ) უსაფრთხოდ შეინახოს ინტერნეტ-ბანკით სარგებლობისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, საიდენტიფიკაციო მონაცემები და ბანკის მიერ მისთვის გადაცემული მოწყობილობები, ასევე ამ მოწყობილობებთან დაკავშირებული ყველა სახის კოდი; გ) ინტერნეტ-ბანკში პირველად შესვლისთანავე (იურიდიული პირებისათვის: პაროლის მიღებიდან 48 საათი) შეცვალოს პაროლი (Password) და დაიცვას მისი კონფიდენციალობა; დ) ხშირად ცვალოს პაროლი, არ გაანდოს პაროლი, კოდი და/ან ბანკის მიერ მისთვის გადაცემული მოწყობილობის საიდენტიფიკაციო კოდი მესამე პირს, არ შეინახოს ეს მონაცემები კომპიუტერის მეხსიერებაში, არ დაუშვას ბანკის მიერ მისთვის გადაცემული მოწყობილობების მესამე პირისთვის გადაცემა, გარდა იურიდიული პირისა, რომლის შემთხვევაშიც პირის უფლებამოსილი წარმომადგენელი განსაზღვრავს ინტერნეტ ბანკინგით მომსახურებაზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირებს; ე) ინტერნეტ-ბანკის უშუალო გამოყენებამდე დარწმუნდეს, რომ რომ მისამართის ველში ნამდვილად წერია ბანკის ინტერნეტ-ბანკის ვებ-მისამართი და ამ მისამართის ორიგინალობა გადაამოწმოს უსაფრთხოების სერთიფიკატით. პაროლის, რომელიც კოდის ან მოწყობილობის დაკარგვის, ან გაშლავების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ამის შესახებ; ვ) არ ენდოს ელ-ფოსტის მისამართზე მიღებულ შეტყობინებებს, რომლებიც ბანკის სახელით ითხოვენ პირადი საბანკო მონაცემების მიწოდება/განახლებას; ზ) დროულად გადაიხადოს მომსახურების საფასური ასეთის არსებობის შემთხვევაში.
 - 6.15. კლიენტი უფლებამოსილია: ა) ინტერნეტ-ბანკის მომხმარებლად დარეგისტრირდეს რამდენიმე პირი, რომლებსაც ექნებათ მომსახურების სრულად, ან ნაწილობრივ მიღების უფლება; ბ) უარი თქვას ინტერნეტ-ბანკით სარგებლობაზე; გ) ბანკისათვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე ნებისმიერ დროს შეაჩეროს ინტერნეტ ბანკინგით მომსახურება. იურიდიული პირის შემთხვევაში: შეაჩეროს მომსახურება აღნიშნულ მომსახურებაზე წვდომის უფლების მქონე ყველა ან გარკვეული პირთა წრისათვის.
 - 6.16. კლიენტის მიერ ბანკისთვის მიცემული დავალების გაუქმება შეიძლება ბანკთან შეთანხმებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დავალება ვერ არ შესრულებულა და მისი გაუქმება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ან იმ ვალდებულების არსს, რომლის შესასრულებლადც გაცია დავალება.
 - 6.17. ბანკს უფლება აქვს ა) ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით კლიენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია მისი ანგარიშების შესახებ; ბ) კლიენტის დავალებით შეასრულოს ბანკის მიერ ინტერნეტ-ბანკით მომსახურების ფარგლებში დაშვებული ოპერაციები; გ) რისკების შემცირების მიზნით კლიენტის აქტიურ ოპერაციებზე (გადარიცხვები, კონვერტაციები) ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და დაადგინოს ასეთი ოპერაციების ზღვრულად დასაშვები პარამეტრები (ერთჯერადი გადარიცხვის მაქსიმალური თანხა, გარკვეულ პერიოდში ჯამურად გადარიცხული თანხის მაქსიმალური ოდენობა, გადარიცხვების მაქსიმალური რაოდენობა, ერთი მომხმარებლის მიერ შესრულებული ოპერაციების დადასტურების აუცილებლობა სხვა მომხმარებლის მიერ და სხვა).
 - 6.18. ბანკის ინტერნეტ გვერდზე ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობისათვის კლიენტის მომხმარებლის სახელის და პაროლის ან კომპანიის სახელისა და პაროლის ზედმიწევნით სამჯერ არასწორად შევსება გამოიწვევს ინტერნეტ ბანკინგის მომსახურების დაბლოკვას.
 - 6.19. ინტერნეტ ბანკინგის მომსახურების გაუქმების/დაბლოკვის ან/და მომსახურების აღდგენის შემთხვევაში კლიენტი ავსებს ინტერნეტ ბანკინგის მომსახურების გაუქმებაზე/დაბლოკვაზე/მომსახურების აღდგენაზე განაცხადს.

ელექტრონული საშუალებები (ბანკი-კლიენტი)

- 7.1. ელექტრონული საშუალებებით მომსახურება გულისხმობს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შესრულებული საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის საფუძველზე კლიენტის საბანკო ოპერაციების შესრულებას. ელექტრონული საშუალებებით მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით. ელექტრონულ ანგარიშსწორებაში მონაწილეობას დებულობს მხოლოდ ელექტრონულად ხელმოწერილი ის სავადასახლო საბუთები, რომლებიც შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 26 ივნისის N166 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების“, შესაბამისად რეკვიზიტების სრულად გადატანით;

- 7.2. მხარეები ცნობენ და ადასტურებენ იმ ფაქტს რომ ელექტრონული საშუალებებით შესრულებული საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია არის კლიენტის ანგარიშებზე ოპერაციათა წარმოების საფუძველი, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული ქაღალდის საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.
 - 7.3. ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მომსახურება ექვემდებარება ბანკში არსებულ შესაბამის წესებს, რომლის შესახებ ინფორმაცია კლიენტს მიეწოდება მისი პირველივე მოთხოვნისთანავე.
 - 7.4. ბანკის მიერ კლიენტის დავალბების ანგარიშიდან თანხების ჩამოწერის შესახებ მიიღება საბუთების ელექტრონული ასლების სახით, რომლებიც ბანკს წარედგინება ხელშეკრულებაში მოცემული პირობებისა და მოთხოვნების სრული გათვალისწინებით.
 - 7.5. ბანკისა და კლიენტის ფინანსური ურთიერთობა მთლიანად რეგულირდება ბანკის მოქმედი ტარიფებით. საოპერაციო დღის განმავლობაში ელექტრონული საშუალებებით შესრულებული საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია ბანკის მიერ შესასრულებლად მიიღება იმავე დღის თარიღით, ხოლო საოპერაციო დღის დამთავრების შემდეგ მიღებული დოკუმენტაცია, მომდევნო საოპერაციო დღის თარიღით.
 - 7.6. კლიენტი ბანკისათვის გასაგზავნი საბუთების ელექტრონული ასლის გაფორმებას ახდენს ფაილის სახით მაგნიტურ მატარებელზე, ბანკის მიერ მიწოდებული პროგრამული უზრუნველყოფის დისკეტებზე შენახული სპეციალური ციფრული გასაღებისა და პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომრის (PIN) საშუალებით. შესაბამისი ფაილი ბანკს მიეწოდება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით.
 - 7.7. ციფრული გასაღები წარმოადგენს პირადი ხელმოწერის ელექტრონულ ანალოგს, რომელიც არის ინფორმაციის დაცვის საშუალება და იგი აგრეთვე ადასტურებს კლიენტის მიერ საბუთის შედგენის ფაქტს. კოდირებაზე და ხელმოწერის სისწორეზე შემოწმებული ფაილები გამოფერის შემდეგ იღებენ ელექტრონული საბუთების სახეს, რომლებიც ექვემდებარებიან შევების სინტაქსურ სისწორეზე კონტროლს.
 - 7.8. ბანკი უფლებამოსილია არ შეასრულოს კლიენტის დავალება, თუ იგი შესრულებულია და წარდგენილია ბანკში დადგენილი წესის დარღვევით, რის შესახებაც ბანკი აცნობებს კლიენტს მიზეზის მითითებით.
 - 7.9. კონტროლის ყველა დონის გავლისა და დამატებითი შემოწმების საბუთი მიიღება ბანკის მიერ შესასრულებლად და შესრუდება საერთო წესების შესაბამისად. საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია სისტემის მიერ მიღებულად იქნება მიჩნეული მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ფაქტი ელექტრონული შეტყობინების საშუალებით დადასტურებული იქნება ბანკის მიერ.
 - 7.10. ელექტრონული საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის მეშვეობით ანგარიშსწორებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნას მათი ქაღალდზე აღდგენის შესაძლებლობა, ყველა სავალდებულო რეკვიზიტის შენარჩუნებით. ელექტრონული საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის რეკვიზიტების სისწორისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს
 - 7.11. ბანკი კლიენტს ანიჭებს მასთან დაინსტალირებული პროგრამის ადმინისტრატორის ფუნქციას. ადმინისტრატორი თავად განსაზღვრავს მომხმარებელთა რაოდენობას და პროგრამაში მათი წვდომის დონეებს.
 - 7.12. კლიენტი ბანკისათვის გასაგზავნი საბუთების ელექტრონულ ასლს აფორმებს ფაილის სახით მაგნიტურ მატარებელზე წესების შესაბამისად ბანკის მიერ მიწოდებული პროგრამული უზრუნველყოფის, კლიენტისთვის სასურველ მაგნიტურ მატარებელზე შენახული სპეციალური ციფრული გასაღებისა და პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომრის (PIN) საშუალებით. ფაილი ბანკს გადაეცემა ბანკისათვის მისაღები ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით. ელექტრონული ანგარიშსწორების შეფერხების შემთხვევაში ანგარიშსწორება ხდება ქაღალდის დოკუმენტის საფუძველზე საერთო წესით. შეფერხების შესახებ კლიენტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბანკს; ბანკის მიერ მიღებული კოდირებისა და ელექტრონული ხელმოწერის სისწორეზე შემოწმებული ფაილები გამოფერის შემდეგ იღებენ ელექტრონული საბუთის სახეს, რომლებიც გაიფერის კონტროლს სწორად შევებაზე, კლიენტის ანგარიშზე ოპერაციის შესრულების შესაძლებლობაზე და ა.შ. კონტროლის ყველა დონის გავლის შემთხვევაში საბუთი ბანკის მიერ მიიღება შესასრულებლად და აქვს საერთო წესით შესრულებული საბუთის იურიდიული ძალა. კლიენტის შიფრაციის გასაღების მოქმედების ვადაა სამი თვე. ვადის გასვლამდე ერთი კვირით ადრე კლიენტი ვალდებულია მოახდინოს სისტემაში გასაღების განახლება. ინტერნეტით მუშაობის შემთხვევაში რეკომენდირებულია, უსაფრთხოების მიზნით, გასაღების განახლება ყოველ ორ კვირაში.
 - 7.13. ბანკის მიერ გადაცემული პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომრის (PIN) შეცვლა კლიენტის მიერ უნდა მოხდეს მაქსიმუმ ყოველ 3 (სამი) თვეში ერთხელ. პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომრის (PIN) ვადის გასვლის ან დაკარგვის შემთხვევაში კლიენტს ახალი ნომერი გადაეცემა ბანკისთვის წერილობითი მომართვის შემდეგ.
 - 7.14. კლიენტი ვალდებულია: ა) აპარატული უზრუნველყოფა და სხვა პროგრამული უზრუნველყოფები იქონიოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისათვის ვარგის მდგომარეობაში. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ისეთ შედეგზე, რაც გამოწვეული იქნება კლიენტის აპარატული უზრუნველყოფის გაუმართაობით ბ) უზრუნველყოს ბანკის მიერ მიწოდებული პროგრამული უზრუნველყოფისა და მასთან კავშირში მყოფი სხვა პროგრამული უზრუნველყოფების მთლიანობა. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის აპარატული უზრუნველყოფის გაუმართაობით გამოწვეულ ოპერაციების ჩატარების შეუძლებლობის შემთხვევაზე, რომლის შემთხვევაშიც პროგრამა იძლევა შესაბამის შეტყობინებას გ) უსაფრთხოდ შეინახოს ბანკის მიერ მიწოდებულ დისკეტებზე შენახული სპეციალური საიდუმლო ციფრული გასაღები და მხოლოდ მისთვის ცნობილი პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომერი (PIN) დ) ბანკის მიერ გადაცემული მაგნიტური მატარებლის ან პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომრის (PIN) დაკარგვის შემთხვევაში 1 (ერთი) საბანკო დღის განმავლობაში შეატყობინოს ბანკს მაგნიტური მატარებლის ან პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომრის (PIN) დაკარგვის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი არ აგებს პასუხს მესამე არაავტორიზებული მხარისაგან მიღებული საბუთების შესრულებაზე ე) იქონიოს ბანკისთვის გაგზავნილი ყველა ელექტრონული საბუთის, საერთო წესით ქაღალდზე შესრულებული ეგზემპლარები და ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადასცეს ბანკს. ვ) შეემთხვევებოდეს დაიცვას ხელშეკრულების პირობები
- ბანკი კლიენტის სისტემით ოპერაციების წარმოების წესები**
- 7.15. „ბანკი-კლიენტის“ პროგრამის დისტანციური წვდომა კლიენტისათვის შესაძლებელია სამუშაო დღეების განმავლობაში 9:30 სთ-დან 17:00 სთ-მდე. საოპერაციო დღის 9:30 სთ-დან 17:00 საათამდე ბანკის მიერ მიღებული ელექტრონული საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია (გადარიცხვების გარდა) შესრულებული იქნება დღეს. საოპერაციო დღის 16:00 საათამდე მიღებული გადარიცხვების ელექტრონული საბუთები ბანკის მიერ შესრულებული იქნება დღეს, ხოლო 16:00 საათის შემდეგ მიღებული გადარიცხვის საბუთები, სრულდება მომდევნო საოპერაციო დღეს. გადარიცხვები ერთნულ და უცხოურ ვალუტაში იწარმოებს კანონით გათვალისწინებულ ვადაში; კონვერტაციები ანგარიშზე შესრულებულია ბანკი კონსტანტას მიმდინარე კურსით. კლიენტს შეუძლია გამოაგზავნოს ბანკში ტექსტური სახის შეტყობინება ან განაცხადის ფორმა.
 - 7.16. კლიენტის – იურიდიული პირის მიერ პროგრამა „ბანკი-კლიენტის“ გამოყენებით გამოგზავნილი საერთაშორისო გადარიცხვის დავალება ბანკის მიერ შესრულებულია კლიენტის და გადარიცხვის მიმღებს შორის გაფორმებული იმ კონტრაქტის გადამწმენის შემდეგ, რომელიც წარმოადგენს მოცემული გადარიცხვის საფუძველს ან გადარიცხვის მიმღების მიერ კლიენტის სახელზე გაცემული ანგარიშ-ფაქტურის გადამწმენის შემდეგ, რომელიც ხელმოწერილი იქნება კლიენტის მიერ. კლიენტი-იურიდიული პირი ვალდებულია გადარიცხვის დავალების გრაფაში „გადახდის მიზნობრიობა“ მიუთითოს იმ კონტრაქტის ან ანგარიშ-ფაქტურის ძირითადი დეტალები (თარიღი და ნომერი), რომელიც წარმოადგენს გადარიცხვის საფუძველს.

- 7.17. იმ შემთხვევაში როდესაც გადარიცხვის დავალბა ექვემდებარება გაუქმებას ნებისმიერი მიზეზის გამო, ვიდრე აღნიშნული გადარიცხვა შესრულებული იქნება სისტემა SWIFT-ში, ბანკი მზადაა აუნაზღაუროს კლიენტს ანგარიშიდან ჩამოწერილი გადარიცხვის ტარიფები. იმ შემთხვევაში როდესაც გადარიცხვა ექვემდებარება გაუქმებას მას შემდეგ რაც ის გატარებულია სისტემა SWIFT-ში ნებისმიერი მიზეზის გამო (მაგ. არასწორად მითითებული ანგარიშის ნომერი ან მიმღების სახელი) კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს გადარიცხვის გაუქმების ხარჯები გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაუქმების მიზეზი აღმოჩნდება ბანკის მიერ დაშვებული შეცდომა. ამ შემთხვევაში ბანკი აუნაზღაურებს კლიენტს გადარიცხვის ტარიფს ან გამიჯორებს შესწორებულ გადარიცხვას უფასოდ.
- 7.18. ბანკი ვალდებულია ა) მიაწოდოს კლიენტს პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტი და ჩართოს იგი ელექტრონულ ანგარიშსწორებაში კლიენტის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღისა; ბ) აკონტროლოს მიღებული ფაილის კოდირება და ელექტრონული ხელმოწერის სისწორე. ფაილები, რომლებშიც ბანკის მიერ გამოვლენილი იქნება კოდირებისა თუ ხელმოწერის ხარვეზები, ბანკის მიერ შესასრულებლად არ მიიღება, რის შესახებაც კლიენტს ელექტრონული საშუალებებით ცნობება მიუღებლობის მიზეზის მითითებით.
- 7.19. ბანკი პასუხს არ აგებს: ა) კლიენტის პროგრამული უზრუნველყოფის მთლიანობაზე. პროგრამული უზრუნველყოფის მთლიანობის დარღვევისას პრობლემის სხვა გზებით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში ხელახლა ტარდება კლიენტის ელექტრონულ ანგარიშსწორებაში ჩართვის პროცედურა ბ) მომხმარებლის პროგრამაში წვდომის დონიდან გამომდინარე მისთვის მინიჭებულ ფუნქციებზე და შესაბამისად შესრულებულ ოპერაციებზე (პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება ადმინისტრაციის პაკეტი (კლიენტს)). გ) ზედმედ საბანკო მითითებებს არასწორად კოდირებული ან არასწორი ხელმოწერის მქონე საბუთის მიღების შემთხვევაში, ბანკი ცალმხრივად შეწყვეტს კლიენტის მომსახურებას ელექტრონული საშუალებების გამოყენებით იმ მომენტამდე, სანამ ბანკი და კლიენტი არ დაადგენენ ასეთი შეცდომების მიზეზს. დ) კლიენტის ან ნებისმიერი მესამე პირის წინაშე პროგრამის საშუალებით მათი ანგარიშების არასანქცირებულ გამოყენების და გაყალბებული ოპერაციების შემთხვევებზე ან ტრანზაქციების განხორციელებისას შეყოვნებებსა და შეცდომებზე, რომელიც გამოწვეულია პროგრამული უზრუნველყოფის და/ან დაშვებული საკომუნიკაციო ხაზების გაუმართაობით
- 7.20. ბანკს უფლება აქვს: ა) მოთხოვოს კლიენტს ელექტრონული საბუთის პირველადი საანგარიშსწორებო საბუთის ასლი; ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში დანერგოს ახლად შემუშავებული პროგრამულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები; გ) შეამოწმოს კლიენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა დაცვა; დ) ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ მომზადებული და გამოგზავნილი ელექტრონული საგადასახადო საბუთის სისწორეზე. ე) ბანკი იტოვებს უფლებას დაუკავშირდეს კლიენტს ტელეფონით, ფაქსით ან ელ-ფოსტით, რათა გაარკვიოს რომელიმე ტრანზაქციის სტატუსი და მოითხოვოს მკაფიო სატელეფონო ან ფაქსით მიღებული ავტორიზაცია კლიენტისაგან მის მიერ ბანკი-კლიენტის პროგრამაში შედგენილი ტრანზაქციის დავალებასთან დაკავშირებით. ვ) ბანკი იტოვებს უფლებას უარი განუცხადოს კლიენტს რომელიმე ტრანზაქციის შესრულებაზე ბანკი-კლიენტის სისტემაში და მოთხოვოს მას ბანკის რომელიმე ფილიალში მისვლა ასეთი ტრანზაქციის ადგილზე გადასახორციელებლად. ზ) ბანკი უფლებამოსილია შეცვალოს მომსახურების ტარიფი ან მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები კლიენტისათვის 1 თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე „ბანკი-კლიენტის“ ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი არ ეთანხმება ცვლილებას, მან წერილობითი ან „ბანკი-კლიენტის“ ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით უნდა აცნობოს ბანკს 5 სამუშაო დღის განმავლობაში რაც ავტომატურად გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტას. თუ პასუხი კლიენტისაგან არ იქნება მიღებული 5 სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულება რჩება ძალაში შეცვლილი პირობებით და მომსახურების ახალი ტარიფით.
- 7.21. კლიენტს უფლება აქვს: ა) ისარგებლოს ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემით; ბ) მიიღოს ინფორმაცია მიწოდებული საგადასახადო დავალების შესრულების შესახებ;
- 7.22. კლიენტი ვალდებულია: ა) წესრიგში იქონიოს აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფა; ბ) უზრუნველყოს ბანკის მიერ მიწოდებული და სხვა მასთან რეჟიმში მყოფი პროგრამული უზრუნველყოფის მთლიანობა, არ დაუშვას მისი დაზიანება და ბანკთან შეთანხმების გარეშე პროგრამაში რაიმე ცვლილებების შეტანა. გ) ბანკის მიერ მიწოდებული გასაღების ან PIN კოდის დაცვას შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ამის შესახებ. დ) ბანკი პასუხს არ აგებს შეტყობინების მიღებამდე კლიენტის სახელით სხვა პირისაგან გამოგზავნილი ელექტრონული საგადასახადო დავალების შესრულებაზე; ე) უზრუნველყოს ბანკისათვის მიწოდებული ინფორმაციის უტყუარობა და სისწორე. ვ) კლიენტს შეუძლია დაამატოს ახალი მომხმარებლები ბანკი-კლიენტის სისტემაში და გადასცეს მათ მომხმარებლის უფლებები. ამ შემთხვევაში ბანკი არ აგებს პასუხს ამ მომხმარებლების მიერ კლიენტის საბანკო ანგარიშზე განხორციელებულ ოპერაციებზე; ზ) ყოველი თვის ბოლოს, კლიენტმა უნდა შეამოწმოს ყველა მისი ტრანზაქცია წარმოებული „ბანკი-კლიენტის“ სისტემის მეშვეობით და თვის ჩანაწერებთან სხვაობის აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს ბანკს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ კი თვის პირველი 5 სამუშაო დღის განმავლობაში კლიენტი არ აცნობებს ბანკს პრობლემის არსებობის შესახებ, ელექტრონული ტრანზაქციები განხორციელებული გასული თვის განმავლობაში ჩაითვლება კლიენტის მიერ მიღებულად. თ) სისტემაში პირველი ჩართვის შემდეგ კლიენტმა უნდა შექმნას პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი და სისტემაში ჩართვის დისკეტა. ბანკის კომპიუტერულმა ექსპერტმა შესაძლებელია ინსტრუქტაჟი ჩატაროს კლიენტს თუ როგორ შეიქმნას საიდენტიფიკაციო ნომერი და დისკეტა. ამასთან კლიენტი პასუხისმგებელია უზრუნველყოს სპეციალური ციფრული გასაღების და პირადი საიდენტიფიკაციო ნომრის უსაფრთხოება და არ გაუშვილოს იგი ნებისმიერ მესამე პირს, მათ შორის ბანკის კომპიუტერულ ექსპერტს. ციფრული გასაღების და პირადი საიდენტიფიკაციო ნომრის დაცვას ან გამოყენების შემთხვევაში კლიენტმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ბანკს ამ ფაქტის შესახებ. საპასუხოდ, ბანკი დაუყოვნებლივ დაბლოკავს ბანკის სისტემასთან წვდომის უფლებას მოცემული ციფრული გასაღების და პირადი საიდენტიფიკაციო ნომრის საშუალებით. კლიენტმა უნდა შეცვალოს პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი მინიმუმ ყოველკვარტალურად;

პლასტიკური ბარათი

- 8.1. პლასტიკური ბარათით მომსახურება ვულისხმობს ბანკის მიერ გამოშვებული „ვიზა“ (VISA) პლასტიკური ბარათის (შემდგომში "ბარათის"), მეშვეობით კლიენტის (შემდგომში "ბარათის მფლობელის") მიერ საბანკო ოპერაციების განხორციელებას.
- 8.2. კლიენტს შეუძლია მიიღოს ერთი, ან რამდენიმე ბარათი, რომელთა ტიპი განისაზღვრება ბარათის მფლობელის მიერ ყოველ კონკრეტულ ბარათთან დაკავშირებით ხელმოწერილი განაცხადით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ბარათით სარგებლობის წესები დეტალურად მოცემულია „ვიზა“ (VISA) საერთაშორისო საგადასხდლო სისტემების პროცედურების შესაბამისად. „ვიზა“ (VISA) საერთაშორისო საგადასხდლო სისტემის პროცედურები და წესები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 8.3. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას, რომელიც უბრუნდება ბანკს პირველი მოთხოვნისთანავე. აკრძალულია ბარათის სხვა პირზე გადაცემა.
- 8.4. ბარათის მფლობელი არის პირი, რომლის სახელზეც გაცემულია ბარათი. ბარათის მფლობელის იდენტიფიკაცია ხდება ბარათის ზედაპირზე მითითებული სახელით, გვარით, მასზე დატანილი ხელმოწერის ნიმუშითა და საიდუმლო პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდით (პინ-კოდი).
- 8.5. ბარათით სარგებლობის პერიოდი განისაზღვრება ბარათზე მითითებული ვადის მიხედვით. ბარათის მოქმედების ვადა იწურება ბარათზე

- მითითებული თვის ბოლო დღის გასვლის შემდეგ.
- 8.6. ბარათით სარგებლობისათვის ბარათის მფლობელი ბარათის დამზადებაზე განაცხადის შევსებისას იხდის საკომისიოს შესაბამისი მომენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი ოდენობით.
 - 8.7. ბარათით ოპერაციების წარმოებისათვის ბარათი დაკავშირებული იქნება კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშთან. ბარათის მფლობელი უფლებამოსილია გამოიყენოს მის საბარათო ანგარიშზე არსებული თანხა ბარათის მომსახურების საკომისიოების გამოკლებით. თანხის გადახარჯვის შემთხვევაში ძირითად თანხას ასევე გამოაკლდება გადახარჯვასთან დაკავშირებული საკომისიოები. ბანკს უფლება აქვს დაკავშიროს სხვადასხვა ვალუტის ანგარიში ბარათთან. ვალუტების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს ბარათის მფლობელი. ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ბანკი დაამზადებს და ბარათის მფლობელს გადასცემს ბარათს და პინ-კოდს შესაბამისი დოკუმენტაციის (პლასტიკური ბარათით სარგებლობის წესების) თანხლებით. იმ შემთხვევაში, თუ ბარათის დამზადებიდან 3 (სამი) კალენდარული თვის განმავლობაში ბარათის მფლობელი არ ჩაიბარებს ბარათს, ბანკს უფლება აქვს გაანადგუროს ბარათი.
 - 8.8. ყველა ტიპის ბარათი არის დებეტური. ბარათი დაკავშირებული ბარათის მფლობელის მიმდინარე ანგარიშებთან. ბარათის მფლობელს საშუალება აქვს განკარგოს მის ანგარიშებზე არსებული ნაშთები და სანქცირებული (ნებადართული) ოვერდრაფტი.
 - 8.9. ერთ ბარათზე შესაძლებელია სამი სხვადასხვა ვალუტის, მიმდინარე ანგარიშების დაკავშირება (ლარი, აშშ დოლარი, ევრო), ანგარიშების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს ბარათის მფლობელი. ბარათზე მიზნული ანგარიშებიდან მხოლოდ ერთი ანგარიში შეიძლება იყოს ძირითადი. ძირითადი ანგარიშის არსი მდგომარეობს შემდეგში — ნებისმიერი ტრანზაქცია განხორციელებული პოს-ტერმინალის, სავაჭრო ობიექტის და სხვა ბანკის ბანკომატის საშუალებით, სრულდება მხოლოდ ძირითადი ანგარიშიდან. ბარათით განხორციელებული ყველა ტრანზაქცია აისახება ბარათის მფლობელის იმ მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებიც დაკავშირებული არის ბარათთან. ბარათი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკანონო მიზნებისათვის, მათ შორის იმ საქონლის და მომსახურების შესაქმნად, რომელიც ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან.
 - 8.10. ბარათით მიმდინარე ანგარიშებზე თანხის გადახარჯვის და არასანქცირებული ოვერდრაფტში გასვლის მომენტიდან, ბარათის მფლობელი ვალდებულია სრულად დაფაროს არასანქცირებული ოვერდრაფტის თანხა, აღნიშნულის თაობაზე სატელეფონო შეტყობინებიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს ბარათის მოქმედება. ბანკი არასანქცირებული ოვერდრაფტის სარგებლობისათვის ბარათის მფლობელს დაარიცხავს ჯარიმას არასანქცირებული ოვერდრაფტის თანხის 0.15%-ის ოდენობით ყოველ დღეზე. თუ აღნიშნული არასანქცირებული ოვერდრაფტი არ დაიფარა ტრანზაქციის თარიღიდან 30(ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ბანკი გააუქმებს ბარათის მოქმედებას, ხოლო არასანქცირებული ოვერდრაფტის თანხას დაერიცხება ჯარიმა თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ დღეზე მომდევნო 90(თოხმცდაათი) დღის განმავლობაში. ჯარიმის დარიცხვა გრძელდება გადახდის დღემდე. თუ არასანქცირებული ოვერდრაფტი ბარათის მფლობელის მიერ არ დაიფარა 90(თოხმცდაათი) დღის განმავლობაში, ბანკი იტოვებს უფლებას ვადაგადაცილებული, არასანქცირებული ოვერდრაფტის შესახებ ინფორმაცია დადგენილი წესების შესაბამისად გადასცეს საქართველოში მოქმედ საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროს (კრედიტინფო საქართველოს), რის საფუძველზეც ბარათის მფლობელი აღიერიცხება ბიუროს მონაცემთა ბაზაში.
 - 8.11. ბარათის მოქმედება შეჩერდება ბარათის მფლობელის სურვილის დაფიქსირების, ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში. ბარათის მფლობელი ვალდებულია ბარათის დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით ან ტელეფონით (ნომერზე +995322 401401) შეატყობინოს ბანკს. ბანკი უზრუნველყოფს ბარათის მოქმედების შეჩერებას ბარათის მფლობელის მიერ განსაზღვრული მეთოდის მიხედვით ბარათის მონაცემების შეტანით: ლოკალურ სტოპ-სიაში, რომელიც მაქსიმუმ 1 (ერთ) საბანკო დღეში უზრუნველყოფს ბარათის ბლოკირებას მხოლოდ ავტორიზებული ტრანზაქციებისთვის; საერთაშორისო სტოპ-სიაში, რომელიც უზრუნველყოფს ბარათის სრულ ბლოკირებას (უავტორიზაციო ტრანზაქციებისთვის) მაქსიმუმ 14 (თოხმცეტ) საბანკო დღეში.
 - 8.12. ბარათის მფლობელის მიერ ამ ხელშეკრულებით ან ბარათით სარგებლობის წესებით განსაზღვრული რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია შეაჩეროს ან დაბლოკოს ბარათების მოქმედება.
 - 8.13. ბარათზე მითითებული ვადის განმავლობაში ბარათის მფლობელი ვალდებულია ანაზღაუროს ბლოკირებული ბარათით განხორციელებული უავტორიზაციო ტრანზაქციებით წარმოშობილი ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბლოკირება არ განხორციელდა საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანით. ბარათის მფლობელი უფლებამოსილია გაასაჩივროს საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანის გზით ბლოკირებული ბარათით განხორციელებული ტრანზაქცია. ბარათის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს ბარათის სტოპ-სიაში შეტანის საკომისიო.
 - 8.14. ბარათი დაიხურება: ა) ბარათის მფლობელის წერილობითი განაცხადის საფუძველზე ან ბარათის მოქმედების ვადის გასვლიდან 30 (ოცდაათი) დღის შემდგომ, ბ) ბანკსა და „ვიზას“ (VISA) შორის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ბანკი ვალდებულია 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში შეატყობინოს ბარათის მფლობელს ბარათის დახურვის შესახებ.
 - 8.15. ბარათით განხორციელებულ ტრანზაქციებს ბანკი აკონტროლებს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის — მონიტორინგის მოდულის მეშვეობით, რაც ნიშნავს იმას, რომ ბანკს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს ბარათის მოქმედება საეჭვო ტრანზაქციების დაფიქსირებისას (მონიტორინგი).
 - 8.16. ბარათის მფლობელი ვალდებულია: ა) გადაცემის მომენტში შეამოწმოს იმ კონვერტის მთლიანობა, რომელშიც პინ-კოდი მოთავსებული; ბ) შეინახოს ბარათით განხორციელებული ყველა ოპერაციის დამადასტურებელი საბუთი ასეთი ოპერაციის განხორციელებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ისინი ბანკს. გ) თავის საბარათო ანგარიშზე ოპერაციების (ტრანზაქციების) არცნობის შემთხვევაში წერილობით მიმართოს ბანკს ოპერაციის განხორციელებიდან (ტრანზაქციიდან) 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივრები თანხის დაბრუნებაზე არ მიიღება. ამასთან ინტერნეტში განხორციელებული ტრანზაქციების გასაჩივრების უფლება ბარათის მფლობელს არ აქვს. ბარათის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს „ვიზას“ (VISA) მიერ პრობლემის გამოძიებასთან დაკავშირებით დაწესებული დამატებითი მომსახურებების საფასური. დ) არ დაუშვას ბარათის ან პინ-კოდის მესამე პირებისთვის გადაცემა (გაშუქანება); ე) ანაზღაუროს ბანკის მიერ გაწეული ის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია „ვიზას“ (VISA) მიერ ბარათის დამატებითი სახის ფასიან მომსახურებებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ვ) ტრანზაქციის (ოპერაციის) გასაჩივრების შედეგად თანხის დაბრუნების შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია მაქსიმუმ 90 (თოხმცდაათი) დღის განმავლობაში უზრუნველყოფს კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა. ზ) რეგულარულად შეამოწმოს ანგარიშების ამონაწერი მინიმუმ 30(ოცდაათი) დღეში ერთხელ.
 - 8.17. ბანკი უფლებამოსილია: ა) უზრუნველყოს სავაჭრო ან მომსახურების ობიექტის მიერ (მათ შორის კაზინო, ტოტალიზატორი და სხვა) მინიმალური ნაშთის ზევით ჩარიცხული თანხის საბარათო ანგარიშზე ასახვა ჩარიცხვიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში. ბ) დაბლოკოს ბარათი (შეაჩეროს ოპერაციები) იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აქვს ეჭვი, რომ ბარათის გამოყენებით ან საბარათო ანგარიშზე ხორციელდება არასანქცირებული ან მართლსაწინააღმდეგო ოპერაციები.
 - 8.18. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ბარათის მფლობელსა და მომსახურების ობიექტს შორის წარმოქმნილ სადაო სიტუაციებზე. ბარათის საშუალებით შექმნილი საქონლის ან მომსახურების ხარისხთან და/ან რაოდენობასთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზიის

შემთხვევაში ბარათის მფლობელმა დავა უნდა გადაწყვიტოს შესაბამის კონტრაქტთან. ამასთან ბარათის მფლობელი არ თავისუფლდება სადაო ტრანზაქციიდან გამომდინარე ფინანსური ვალდებულებისაგან. ბ) ბარათის არასანქცირებული გამოყენებისათვის იმ ფაქტების გამო, რომლებიც ბარათის მფლობელის მიზეზით არის გამოწვეული.

8.19. ბარათის მფლობელის (კლიენტის) რომელიმე ანგარიშზე საინკასო დავალების ან ყადაღის დადების აქტის არსებობის შემთხვევაში ბარათის მფლობელის (კლიენტის) ანგარიშზე დაშვებული ოვერდრაფტი ითვლება ავტომატურად გაუქმებულად.

8.20. ბარათის მფლობელისათვის ცნობილია იმ რისკების შესახებ, რომელიც უკავშირდება პლასტიკურ ბარათზე თანხის შენახვისას მესამე პირების მიერ, არასანქცირებული ოპერაციების შედეგად, თანხის მითვისებას. ბანკი არ აცხადებს პასუხს მითითებულ შემთხვევებში დაკარგულ თანხებზე, თუ კლიენტი არ დაამტკიცებს აღნიშნულ რისკებს.

სატელეფონო მომსახურება

- 9.1. სატელეფონო მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად სატელეფონო კავშირის გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული საბანკო ინფორმაციის მიღებას;
- 9.2. სატელეფონო მომსახურება ვრცელდება კლიენტის ყველა საბანკო ანგარიშზე.
- 9.3. სატელეფონო მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით. კლიენტი განაცხადში უთითებს მისთვის სასურველ კოდურ სიტყვას, რომელიც შეიძლება შედგებოდეს ციფრებისა და ქართული ანბანის ასოების კომბინაციისაგან. ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს დამატებითი კითხვები კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით.
- 9.4. ბანკი ვალდებულია დაიცავს კლიენტისთვის გადაცემული კოდური სიტყვის კონფიდენციალობა და უარი უთხრას სატელეფონო მომსახურებაზე პირს, რომელიც არ, ან ვერ დაასახელებს კოდურ სიტყვას. იმ შემთხვევაში თუ ბანკს გაუჩნდება ეჭვი (მათ შორის დამატებითი კითხვებზე მიღებული პასუხების საფუძველზე), რომ ინფორმაციის მიღებას, ან ოპერაციის განხორციელებას ცდილობს არა კლიენტი, არამედ მესამე პირი, ბანკს უფლება აქვს უარი თქვას ინფორმაციის გაცემაზე. იმ შემთხვევაში, თუ კოდური სიტყვა კლიენტის მიზეზით გახდება ცნობილი მესამე პირისთვის, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ამით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.
- 9.5. კოდური სიტყვის დაკარგვის, ან გამჟღავნების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ ჩერილობით აცნობოს ბანკს ამის შესახებ.
- 9.6. ბანკი ვალდებულია კლიენტის მიერ კოდის დაკარგვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით), ან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე სატელეფონო მომსახურების შეჩერება, კლიენტის მხრიდან ახალი განკარგულებების მიღებამდე.
- 9.7. კლიენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას სატელეფონო მომსახურება განხორციელდება არსებული კოდური სიტყვის გამოყენებით. ამ შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის არ გაფორმდება ახალი ხელშეკრულება და ახალ ანგარიშზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები.

ავტომატური საგადახდო დავალება

- 10.1. ავტომატური საგადახდო დავალება გულისხმობს საბანკო მომსახურებას, რომელიც საშუალებას აძლევს კლიენტს წინასწარ (ერჯერადად ან მრავალჯერადად) დაავალოს ბანკს ფიქსირებული თანხის, ან ანგარიშზე არსებული მთლიანი ან ნაწილობრივი ნაშთის გადარიცხვა კონკრეტულ რეკვიზიტებზე, განსაზღვრული პერიოდულობით, დავალების მოქმედების პერიოდში.
- 10.2. ავტომატური საგადახდო დავალებით შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელსაც გახსნილი აქვს ბანკ „კონსტანტა“-ში მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიში ნებისმიერ ვალუტაში.
- 10.3. ავტომატური საგადახდო დავალების სერვისის გააქტიურება შესაძლებელია ბანკის ნებისმიერ ფილიალში მისვლით, სერვისის მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით.
- 10.4. ავტომატური საგადახდო დავალებით კლიენტს შეუძლია განხორციელოს საბანკო გადარიცხვები (საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ კომერციულ ბანკებში), ოპერაციის განხორციელების დროისთვის ბანკში მოქმედი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.
- 10.5. ბანკი და კლიენტი ვალდებული არიან დაიცვან დავალების კონფიდენციალობა. საბანკო რეკვიზიტების მონაცემების შეცვლის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბანკს განცხადებით ახალი საბანკო რეკვიზიტების შეტყობინების მიზნით.
- 10.6. კლიენტის პრეტენზიები მომსახურებასთან დაკავშირებით მიიღება ოპერაციის განხორციელებიდან 45 (ორმოცდახუთი) დღის განმავლობაში.
- 10.7. ავტომატური საგადახდო დავალების მაქსიმალური ვადაა 3 წელი. თითოეულ ავტომატური საგადახდო დავალებას გააჩნია საწყისი და საბოლოო თარიღი. ავტომატური საგადახდო დავალების ქვეშ თითოეული ოპერაცია სრულდება ბანკის საოპერაციო ან მომდევნო საბანკო დღის ფარგლებში, ბანკში მოქმედი პროცედურების შესაბამისად;
- 10.8. ავტომატური საგადახდო დავალება აქტიურდება განაცხადის მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს. კლიენტს ავტომატური საგადახდო დავალების შესრულების თარიღად შეუძლია აირჩიოს თვის კონკრეტული რიცხვი; თუ დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, დავალება შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს. კლიენტს შეუძლია აირჩიოს ავტომატური საგადახდო დავალების შესრულების პერიოდულობა:
 - ყოველდღიური — დავალება შესრულდება ყოველდღიურად წინასწარ განსაზღვრული ვადის განმავლობაში;
 - ყოველკვირეული — დავალება შესრულდება ყოველკვირეულად კლიენტის მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში მის მიერ არჩეულ რიცხვებში;
 - ყოველთვიური — დავალება შესრულდება ყოველთვიურად კლიენტის მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში მის მიერ არჩეულ რიცხვებში;
 - ყოველკვარტალური — დავალება შესრულდება ყოველკვარტალურად კლიენტის მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში მის მიერ არჩეულ რიცხვებში;
 - ყოველწლიური — დავალება შესრულდება ყოველწლიურად კლიენტის მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში მის მიერ არჩეულ რიცხვებში;
 - არჩეულ პერიოდში ერთეული დავალების შესრულების თარიღების რაოდენობა არ არის შეზღუდული
 - შესაძლებელია ერთჯერადი დავალების მიღება.
- 10.9. ავტომატური საგადახდო დავალების ვალუტა შესაძლებელია იყოს GEL, USD, EUR, GBP, CHF, რომლითაც ბანკში დაიშვება ანგარიშის გახსნა და ოპერაციების წარმოება. კლიენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გახსნილი ანგარიში არჩეულ ვალუტაში; კონვერტაციის დავალების შემთხვევაში ანგარიში გახსნილი უნდა იყოს ყველა შესაბამის ვალუტაში.
- 10.10. ავტომატური საგადახდო დავალება მიეხმება კლიენტის ანგარიშს, კლიენტის არჩევანით — ერთ—ერთს.
- 10.11. თუ დავალების შესრულების თარიღში ანგარიშზე არ იქნება საკმარისი ნაშთი დავალების თანხის და ოპერაციის შესაბამისი საკომისიოს ჩამოსაწერად, ოპერაცია ჩაითვლება შეუსრულებლად.

- 10.12. არასაკმარისი თანხის მიზეზით ოპერაციის შესრულებლობა არ ნიშნავს ავტომატური საგადახლო დავალების გაუქმებას. ავტომატური საგადახლო დავალება ავტომატურად უქმდება, თუ ანგარიშზე საკმარისი ნაშთის (ინკასო/ყადალა/სესხი ან სხვა შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში) არარსებობის გამო ოპერაცია ვერ შესრულდა დავალების პერიოდში სამჯერ ზედიზედ კლიენტის მიერ მიცემული დავალების შესრულების თარიღის მიხედვით.
- 10.13. კლიენტს შეუძლია ჰქონდეს განუსაზღვრელი რაოდენობის ავტომატური საგადახლო დავალება; ერთი ავტომატური საგადახლო დავალების ქვეშ იგულისხმება ერთი ტიპის ოპერაცია, გამონაკლის წარმოადგენს თანხის კონვერტიციის და გადარიცხვის დავალება, რომელიც სრულდება ორი ტრანზაქციით, მაგრამ ავტომატურ საგადახლო დავალებაში რეგისტრირდება და განიხილება როგორც ერთი ოპერაცია. ავტომატური საგადახლო დავალების დამატება და შეწყვეტა შესაძლებელია კლიენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე ბანკის ნებისმიერ ფილიალში მისვლით. დავალების დამატება და შეწყვეტა მოხდება კლიენტის მოთხოვნის დაფიქსირების დღიდან მომდევნო სამუშაო დღეს; დავალების შეწყვეტის თარიღი შესაძლებელია წინასწარ განისაზღვროს კლიენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მინიმუმ ორი სამუშაო დღით ადრე.
- 10.14. თუ გამგზავნის ან მიმღების ანგარიში (თუ მიმღების ანგარიში გახსნილია ბანკ „კონსტანტა“-ში), რომელზეც მიმხულია ავტომატური საგადახლო დავალება დაიხურა, ავტომატური საგადახლო დავალება ავტომატურად გაუქმდება.
- 10.15. ავტომატური საგადახლო დავალების გააქტიურების და მომსახურების საკომისიო განისაზღვრება ბანკის ტარიფებით; თითოეული ოპერაციის შესრულება – ბანკში დადგენილი ან კლიენტისთვის დადგენილი მომსახურების ტარიფების შესაბამისად;
- 10.16. ავტომატური საგადახლო დავალებით კონვერტაცია ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს სურს თანხის კონვერტაცია და შემდგომ გადარიცხვა; როგორც სტანდარტული კონვერტაციისას ასევე განსხვავებული ვალუტის ანგარიშებს შორის თანხის გადარიცხვისას თანხის დაკონვერტირება მოხდება დავალების შესრულების მომენტისთვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით.
- 10.17. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ბანკს ავალებს ორი ან მეტი დავალების შესრულებას ერთ თარიღში, აუცილებელია განისაზღვროს დავალების შესრულების პრიორიტეტები. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში პრიორიტეტს განსაზღვრავს თავად ბანკი.
- 10.18. გადარიცხვის ოპერაცია არ შესრულდება ანგარიშზე დროებითი შეზღუდვების არსებობისას. იგულისხმება ის შეზღუდვები, რომლებიც ბანკში მოქმედი წესის მიხედვით კრძალავს გადარიცხვას კლიენტის ანგარიშიდან.

სხვა პირობები

- 11.1. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს დახუროს საბანკო ანგარიში ან შეწყვიტოს რომელიმე ან ყველა სახის მომსახურებით სარგებლობა ანგარიშის დახურვამდე ან მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის მეშვეობით.
- 11.2. ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს: ა) შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება შეწყვეტამდე არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე კლიენტისთვის შეტყობინებით; ბ) შეცვალოს ხელშეკრულებაში აღწერილი მომსახურების პირობები, მასასიათებლები ან/და საფასური (ბანკის მიერ დადგენილ ტარიფებში ცვლილებების შემთხვევაში), კლიენტს შესთავაზოს ან შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან რამდენიმე მომსახურების გაწევა; გ) დახუროს კლიენტის ანგარიში კლიენტის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ან/და ანგარიშზე 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ნაშთის არარსებობის ან/და ანგარიშის მეშვეობით ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ამ პუნქტის მიზნებისთვის ოპერაციის განხორციელებად არ ჩაითვლება ბანკის მომსახურების საფასურის გადარიცხვა/ჩამოწერა კლიენტის ანგარიშიდან). ანგარიშის დახურვის შემთხვევაში კლიენტს დაუბრუნდება შესაბამის ანგარიშზე რიცხული თანხა.
- 11.3. ბანკს უფლება აქვს ცვლილებები (დამატებები) შეიტანოს სტანდარტული პირობების ტექსტში ცვლილების (დამატებების) განხორციელებამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.bankconstantatna.ge ან/და ბანკის განყოფილებებსა და სერვიცენტრების შენობებში შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მეშვეობით. აღწერილ შემთხვევაში კლიენტს უფლება ექნება ბანკის ინტერნეტ-გვერდზე ან/და ბანკის განყოფილებებსა და სერვიცენტრების შენობებში ინფორმაციის განთავსებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვასვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ისარგებლებს ამ უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კლიენტის მიერ მიღებულად. ხელშეკრულება კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად. ბანკს უფლება აქვს ცვლილება, რომელიც არ აუარესებს კლიენტის მდგომარეობას ძალაში შეიყვანოს ინტერნეტ-გვერდზე მისი განთავსებისთანავე.
- 11.4. ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა).
- 11.5. იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 11.6. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს არბიტრაჟი. მხარეები თანხმდებიან, რომ მხარეთა შორის დავას განიხილავს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება შ.პ.ს. “დავების განმხილველი ცენტრი” (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204547348; ვებ-გვერდი: www.drc-arbitration.ge) ან მისი უფლებამონაცვლე.